საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000024765644921

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **9** **04 / მარტი / 2021 წ.**

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების („ნაგავმზიდი“ ავტომობილი „ISUZU NPR”, VIN კოდი: NNANPR71LO2027463N, გამოშვების წელი-2007) ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახურისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122--ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე- 6 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე, 56-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს მის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების **(„ნაგავმზიდი“ ავტომობილი „ISUZU NPR”, VIN კოდი: NNANPR71LO2027463N, გამოშვების წეწლი-2007) ააიპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარეგანათების სამსახური“-სათვის** პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით უვადოდ გადაცემა.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი